პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 19 ივლისი, 1942 წ. № 169 (6485). ფასი 15 კაპ.

ყოველი დღე, ყოველი საათი წარმოშობს ახალ გმირებს. ლომებივით იბრძვიან საბჭოთა მეომრები. მათი გმირობა შეხამებულია ოსტატობასთან, მოხერხებასთან, ვაჟკაცობასთან, შესანიშნავ მედგრობასა და სიკვდილის წინაშე უშიშრობასთან.

„პრავდა"

გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ მტერს!

უზარმაზარ ფრონტზე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ. გამხეცებული მტერი წინ მოძვრება, მან იცის, რომ მისი აღსასრული მოახლოებულია, სადაცაა ფაშიზმის ზურგში დაიქუხებს მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მიერ გამოჭედილი მეორე ფრონტი, სადაცაა ევროპის კონტინენტზე მას მახვილს ჩასცემენ. და სასოწარკვეთილი მტერი, ავანტიურებში დახელოვნებული, ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს გამოიჭრას ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ.

უმაგალითო გმირობა და შეუპოვრობა, დევგმირული ძალა და ისტორიაში არნახული მამაცობა წითელი არმიისა ამსხვრევს შეჯავშნული მტრის მუხანათურ გეგმებს, მის უტიფარ ანგარიშებს. მტრის სასოწარკვეთილი ღრიალი მისი აღსასრულის ჟამს გვაუწყებს.

მრავალერიანი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მამაცი შვილები ლომებივით იბრძვიან პირსისხლიანი ფაშისტური ხროვის გასანადგურებლად, ჰიტლერის შეჯავშნული მუშტის გასანადგურებლად.

მამაცობა და გმირობა საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ადამიანების განუყრელი თვისებაა. ეს საუკეთესო თვისებები ჩვენს ხალხში აღზარდეს და განავითარეს ლენინმა და სტალინმა. საბჭოთა ხალხმა ათეული წლების მანძილზე გამოატარა თავისი გმირული ნებისყოფა გამარჯვებისა და შესძლო მსოფლიო-ისტორიული მონაპოვრები დაემკვიდრებინა ჩვენს ქვეყანაში. და ახლა, როცა სამშობლო მრისხანე დღეებში ერთიან სამხედრო ბანაკად დაირაზმა, საბჭოთა ხალხმა ფრონტს არამარტო მისცა შესანიშნავი გმირი მებრძოლები, რომლებმაც არაერთი დამარცხება არგუნეს მტრის ურდოებს, არამედ უზრუნველჰყო ფრონტისათვის მტკიცე ზურგის უწყვეტი მზარდი დახმარება, კოლოსალური რეზერვების გამოყენება და მთელი მუშაობის უსწრაფესი გარდაქმნა საომარ ყაიდაზე. ეს არის ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების უძლეველი პირობა.

ქართველმა ხალხმა მრავალი სახელოვანი მებრძოლი აღზარდა. მათი სახელი ფართოდ არის ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში. გენერალ-მაიორები ლესელიძე და ჩანჩიბაძე, უშიშარი მფრინავები წურწუმია და ლებანიძე, ჯახიევის ჯავშნოსანი მატარებლის მთელი ეკიპაჟი, საბჭოთა კავშირის გმირი ხარაზია და მრავალი სხვა მამაცი პატრიოტი აღზარდა საბჭოთა საქართველომ. მათ გვიჩვენეს სამშობლოს დაცვის ბრწყინვალე მაგალითები, გამბედაობა და უშიშრობა მტერთან ბრძოლაში, სამშობლოს თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვის ნიმუშები. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

დღეს ჩვენი მკითხველები ფართოდ გაეცნობიან საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძის სახელოვან ცხოვრებას.

ვინ არის იგი, რა გზით გახდა ღირსი ასეთი მაღალი პატივისა?

ამხ. მ. გახოკიძე უმცროსი პოლიტხელია. ჩვენი პარტიის მიერ აღზრდილი. მან გმირობა და მამაცობა გამოიჩინა სევასტოპოლის გმირულ დაცვაში. სევასტოპოლის დაცვა შევა სამამულო ომის ისტორიაში ერთერთ ბრწყინვალე ფურცლად და ამ ფურცელთან განუყრელად იქნება დაკავშირებული ამხანაგ მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძის სახელი.

მთელი ექვსი თვის განმავლობაში ამხ. გახოკიძე ცეცხლის ხაზზე იდგა, მებრძოლთა სულ მცირე ჯგუფით მტრის ბატალიონსაც კი ებრძოდა და ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. აი რა შეუძლია მამაც საბჭოთა ადამიანს, რომელიც იცავს სამშობლოს, **ლენინ-სტალინის** პარტიის დიად საქმეს.

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ გამოაწრთო ამხ. გახოკიძე. იგი ქართველი ხალხის სახელოვანი და ღირსეული შვილია. იგი განასახიერებს ჩვენი მებრძოლების საუკეთესო თვისებებს. იგი ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს საბჭოთა ადამიანი, როდესაც იარაღით ხელში იცავს მისთვის ყველაზე უფრო საყვარელს, ძვირფასს და განუყრელს — სამშობლოს, რა გიგანტური ძალისა და უნარის მქონეა ყოველგვარ ვითარებაში, და განსაკუთრებით მრისხანე ჟამს, განსაცდელის დღეებში, როცა შავი ფაშისტური ღრუბლები ჩვენს ქვეყანას თავს დასწოლია.

ვისწავლოთ ბრძოლა ისე, როგორც იბრძოდა ამხ. გახოკიძე, მივბაძოთ მას!

დაე ზურგში მყოფი თითოეული საბჭოთა ადამიანის გულს აღაფრთოვანებდეს ამხ. გახოკიძის უმაგალითო გმირობა და აძლევდეს სტიმულს იმუშაოს მაღაროებსა თუ შახტებში, კოლმეურნეობებში, დაზგებთან თუ ლაბორატორიებში ისე მამაცურად, როგორც სევასტოპოლში იბრძოდა ამხ. გახოკიძე!

ჩვენი ქვეყანა გმირების ქვეყანაა. თავხედი მტერი გამანადგურებელ დარტყმას განიცდის იმ შეუპოვარი სიმტკიცის შედეგად, რასაც ჩვენი ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ერთიანობა წარმოადგენს.

1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურების წელია. ამიტომ ახლა კიდევ უფრო მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე ომის პირველ თვეებში. ფრონტს მეტი და მეტი იარაღი, მეტი და მეტი სურსათი უნდა მივცეთ. ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას უნდა მივცეთ მეტი და მეტი პროდუქცია. ეს მოითხოვს თავდადებულ შრომას. მამაცობა და გმირობა, შრომასთან შეერთებული, გამანადგურებელი ლახვარია მტრისათვის.

მძლავრად ჩავცეთ მტერს ეს ლახვარი!

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ქალაქ ლენინგრადის შინსახკომის ქალაქის სახანძრო დაცვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ ლენინგრადის ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის სანიმუშოდ მომზადებისათვის, ხანძრების ლიკვიდაციის დროს სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობის მიერ გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით** ქალაქ ლენინგრადის შინსახკომის ქალაქის სახანძრო დაცვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 10 ივლისი.

საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 126 ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

საბრძოლო თვითმფრინავთა წარმოების დარგში მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული არიან საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 126 ქარხნის მუშაკები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან საქ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მდივანი გ. ა. ბორკოვი, საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი ა. მ. ვულმანი, ხარატი ა. პ. დენისოვი, ქარხნის მთავარი ინჟინერი პ. პ. კოვალევსკი, **საკ. კ. პ. (ბ)** ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ვ. ტ. რომანოვი და ქარხნის დირექტორი დ. ა. ტიმოფეევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 14 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით—13 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით—22 კაცი.

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"**—31 კაცი.

მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"**—27 კაცი. (საკდესი).

თათბირი მოსავლის აღების საკითხებზე

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
18 ივლისის დილის ცნობა

17 ივლისის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან **ვორონეჟის** რაიონში და **მილეროვოს** სამხრეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

ვორონეჟის რაიონში გრძელდებოდა ბრძოლები, რომელთა მსვლელობაშიც ჩვენმა ნაწილებმა რამდენადმე უკან დაახევინეს მოწინააღმდეგეს. გერმანელები მედგარ წინააღმდეგობას გვიწევენ და ყოველ ღონეს ხმარობენ დაკავებული პოზიციების შესანარჩუნებლად. ერთ-ერთ უბანზე საარტილერიო და სანაღმმტყორცნო მომზადების შემდეგ ჩვენი ტანკისტები მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრნენ და გაანადგურეს 3 საარტილერიო და 2 ნაღმსატყორცნი ბატარეა. ტანკებს ბრძოლაში ქვეითები მიჰყვებიან. გაიმართა ხელჩართული შეტაკება, რომელშიც ჰიტლერელებმა 350 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და საჩქაროდ დაიხიეს უკან, ამასთან დასტოვეს მიწაში ჩაფლული 3 ტანკი, 7 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმსატყორცნი და საწყობი საომარ მასალიანად. სხვა უბანზე მტრის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ამ იერიშის მოგერიებისას არტილერისტებმა ამხ. დუშინის მეთაურობით გერმანელთა 3 ტანკი მოსპეს და 300-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს.

• • •

მილეროვოს სამხრეთით ჩვენი ჯარები მტრის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის დიდი ძალების მრავალრიცხოვან იერიშებს იგერიებენ. დღის განმავლობაში ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანსაწინააღმდეგო შაშხანიანებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 17 ტანკი. საბჭოთა ქვეითი ჯარი ანადგურებს აგრეთვე მოწინააღმდეგის ტექნიკას. მარტო ერთი ქვეგანაყოფის მებრძოლებმა გრანატებით ააფეთქეს და საწვავნარევიანი ბოთლებით დასწვეს 5 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა. ამ ბრძოლაში ჰიტლერელებმა 1.200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. კავალერისტებმა გაბედული რეიდი მოაწყეს შემომტევი მტრის ზურგში. მათ გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა კოლონა, დასწვეს 4 ავტოცისტერნი საწვავიანად და 9 ავტომანქანა საომარ მასალიანად და სურსათიანად.

• • •

იმ ქვეგანაყოფის გვარდიელმა ნაღმსატყორცნელებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. შარენკოვი (კალინინის ფრონტი), ცეცხლი დაუშინეს თავმოყრილ მტერს და მოსპეს 2 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 2 ქვემეხი და 250-მდე ჰიტლერელი დახოცეს. ნაღმსატყორცნელებმა ამხ. ვობლის მეთაურობით მასირებული ცეცხლი დაუშინეს მტრის კოლონას და მოსპეს 13 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად და 20 საზიდარი საომარ მასალიანად.

• • •

იმ ნაწილის მფრინავებმა, რომლის მეთაურიც არის მაიორი ზიმინი (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი), 3 თვის განმავლობაში მტრის 87 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მაიორმა კონდრატიევმა ჩამოაგდო გერმანელთა 12 თვითმფრინავი, მაიორმა ლაზარევმა—10 თვითმფრინავი და ლეიტენანტმა ვოლკოვმა—11 თვითმფრინავი.

• • •

ტანკის ეკიპაჟმა ლეიტენანტ ჩერკასის, მექანიკოს-წამყვან პატრუშევის და უფროს პოლიტხელ ტროეკუროვის შემადგენლობით ერთ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 2 ტანკი, 8 ქვემეხი, დაანგრია 12 მიწური საცეცხლე წერტი და გასრისა 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

მტრის იერიშის მოგერიებისას იმ ნაწილის მებრძოლთა ჯგუფმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. საზონოვი, გერმანელთა 6 ტანკი მოსპო.

• • •

წითელარმიელმა ამხ. კუძლევმა ტანკსაწინააღმდეგო თოფის რამდენიმე გასროლით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი „ჰენშელ-126", რომელიც მოწინააღმდეგის არტილერიის სროლას აკორექტებდა.

• • •

გერმანელთა მე-18 სატანკო დივიზიის 52-ე მოტოპოლკის მე-5 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ობერ-ფელდფებელმა ჰანს კუხენბეკერმა განაცხადა: „6 ივლისს დილით რუსებმა არტილერიის ძლიერი სროლა აუტეხეს ჩვენს პოზიციებს. ყუმბარები მოხვდა ყველა ჩვენს ბლინდაჟსა და საცეცხლე წერტებს. ჩემს ოცეულში 30 კაცი იყო. მათში მხოლოდ ორნი გადავრჩით ცოცხალი: მე და უნტერ-ოფიცერი ოტო რაიერი. დანარჩენმა ოცეულებმაც დიდი ზარალი ნახეს. მეხუთე ოცეული ერთხელ წინათაც გაანადგურეს. პუნქტ ბ-სთან მან 160 კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მაისის დამლევს ასეულმა შევსება მიიღო 110 კაცის რაოდენობით, უმთავრესად ახალგაზრდები, რომელნიც ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირში იმყოფებიან. მათ ჩააგონეს, რომ ომი, სხვისი მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება—ყოველივე ეს ჭეშმარიტი გერმანელის მოწოდებაა. მე ვფიქრობ, რომ ისინი მალე მოვლენ ჭკუაზე, აღმოსავლეთში წარმოებული ომის ყოველივე სიმძვენიერეს რომ გამოსცდიან".

• • •

გერმანელი დამპყრობნი ნორვეგიის ძარცვას განაგრძობენ. ამჟამად ოკუპანტები მოსახლეობას კონფისკაციით ართმევენ ყველა ველოსიპედს. ამას წინათ საოკუპაციო ხელისუფლებამ რეკვიზიცია უყო 100-ზე მეტ ავტოსარემონტო სახელოსნოს.

• • •

ბაქოელი ნავთის მუშაკები ფართოდ იყენებენ ნავთის ჭაბურღილთა ბურღვის ჩქარ მეთოდს. № 1212 ჭაბურღილი, გრაფიკით გათვალისწინებული 23 დღის ნაცვლად, გაბურღულ იქნა 16 დღეში. წარჩინებული ოსტატის ორდენოსან ბაბა კაფარ მურადოვის ბრიგადამ 12 დღის განმავლობაში 106 მეტრი გაბურღა დავალებით გათვალისწინებული 60 მეტრის ნაცვლად.

18 ივლისის საღამოს ცნობა

18 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტერთან **ვორონეჟის** რაიონში და **მილეროვოს** სამხრეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემმა ბალტიის ზღვაში ჩასძირა მტრის ტრანსპორტი 8.000 ტონა წყალწყვისა.

• • •

17 ივლისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის [illegible]

[illegible] ნა ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად, 7 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 5 საზენიტო ქვემეხი, დანგრეულია რკინიგზის ხიდი, აფეთქებულია 2 საწყობი საომარ მასალიანად და 4 ცისტერნი საწვავიანად. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 7 თვითმფრინავი და აეროდრომზე მოსპეს 5 თვითმფრინავი.

• • •

კალინინის ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და მზვერავ ჯგუფთა აქტიური მოქმედება სწარმოებდა. ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს, რომელიც მოგერიებულ იქნა ნაღმსატყორცნის და თოფტყვიამფრქვევის ცეცხლით. მტერმა 100-ზე მეტი მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე. მარცხით დამთავრდა აგრეთვე გერმანელთა ტანკების ცდა ბრძოლით დაეზვერათ ჩვენი თავდაცვის სისტემა. მებრძოლთა ჯგუფმა კაპიტან ჟიდკოვის მეთაურობით გერმანელთა 3 ტანკი დააზიანა. წითელარმიელებმა ამხ. ივანოვმა და ტაშლიკოვმა საფარიდან მოსპეს მტრის 2 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

• • •

დასავლეთის ფრონტზე გრძელდებოდა [illegible]

[illegible] ლითონი...".

• • •

საბჭოთა კავშირის მშრომელთ განუწყვეტელ ნაკადად შეაქვთ წვლილი სამშობლოს თავდაცვის ფონდში. 1942 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე თავდაცვის ფონდში შემოვიდა 1.221,5 მილიონი მანეთი; გარდა ამისა მშრომელებმა შეიტანეს 12 კილოგრამამდე პლატინა, 97 კილოგრამი ოქრო, 8.6 ათასი კილოგრამი ვერცხლი, 1.192 ათასი მანეთის ძვირფასი ნივთები, 7.986 ათასი მანეთის უცხოეთის ვალუტა, 2.267 მილიონი მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები. თავდაცვის ფონდში კოლმეურნეთა მიერ შეტანილია დიდძალი მარცვლეული, თივა, პირუტყვი, ტყავი, მატყლი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

გააფთრებული ბრძოლები

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 18 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის მთელ რიგ უბნებზე მტერი აძლიერებს მოწოლას, გაშმაგებით მოისწრაფვის წინ. ფაშისტებს ახალ-ახალი ჯავშანსა- [illegible]

[illegible] ბის პოზიციებს უშენდა არტილერია, მასირებულად ესხმოდა თავს გერმანელთა ავიაცია. ვერაფერმა ვერ შეარყია მებრძოლთა მედგრობა. ლეიტენანტების კოროლკოვისა და დანილოვის ტანკების ეკიპაჟებმა გაჩაღებულ [illegible]

Д. ЗУБКОВ [illegible]

მ. ლ. გახოკიძე
საბჭოთა კავშირის გმირი

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის № 700 ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის პროდუქციის გამოშვების დარგში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით** სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის № 700 ქარხანა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 16 ივლისი.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის № 700 ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის პროდუქციის გამოშვების დარგში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის № 700 ქარხნის მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ქარხნის დირექტორი ი. ფ. ბელობროვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ქარხანაში ი. პ. გროდნევსკი, დაზგოსანი ნ. ი. ლუმპოვა, ამწყობი ი. დ. ნოსაჩევი, ოსტატი ა. ი. პშენიჩნიკოვი, მეფოლადე კ. გ. ტრუხანოვი და საკ. კ. პ. (ბ) ქალაქკომის მდივანი ი. ფ. ჩერნიშევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია—15 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია—19 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია—27 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"**—43 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"**—46 კაცი. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით: მაიორი ვასილ დავითის-ძე **გოგლიჩიანი,** ლეიტენანტი შოთა ამბერკის-ძე **ობოლაძე,** სამხედრო ფერშალი ვარლამ თომას-ძე **პაჭკორია.**

წითელი ვარსკვლავის ორდენით: სერჟანტი ზაქარია სოლომონის-ძე **ხატალეიშვილი,** წითელარმიელები ვლადიმერ გაბრიელის-ძე **არჯევანიძე,** გიორგი ვასილის-ძე **ჯაფარიძე.**

მედლით **„მამაცობისათვის":** მე-3 რანგის სამხედრო ექიმი გალაქტიონ მელიტონის-ძე **ჯალაღონია,** უფროსი პოლიტხელი სერგი ტრიფონის-ძე **ბაბია,** უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ვიქტორის-ძე **ვოიშვილი.**

მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის":** ალექსანდრე სიმონის-ძე **უჩაძე,** პოლიტხელი პეტრე ივანეს-ძე **ჯენჯელეია,** სერჟანტი შოთა ნიკოლოზის-ძე **სირაძე.**

ჩვენს ნაწილებს იერიშები მიაქვთ მტერზე

მოქმედი არმია, 18 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). იმ სერიოზული საფრთხის შეგნება, რომელიც ჩვენს სამშობლოს ემუქრება, ვორონეჟის გმირ დამცველთა ძალას აორკეცებს. აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ისინი მტკიცედ აკავებენ გერმანელთა ტანკებს, ავიაციისა და მოტოქვეითი ჯარის გააფთრებულ შემოტევას და იერიშები მიაქვთ მოწინააღმდეგეზე. ფაშისტები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ გამაგრდნენ მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე. ჰიტლერელები განაგრძობენ სახლების გამოყენებას საცეცხლე წერტებად, მიწაში ფლავენ ტანკებს, ქმნიან ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითს რაიონებს, დანაღმულ არეებს და აგებენ მავთულღობურებს.

ცალკეულ უბნებზე მტერი ჩვენი ჯარების [illegible]

6 ქვემეხი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი.

რკინისებურ სიმტკიცეს და უშიშრობას იჩენენ ბრძოლაში ჩვენი მფრინავები.

გაბედულად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის აეროდრომზე უფროს ლეიტენანტ მოროზოვის ბომბდამშენმა. საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ეკიპაჟმა მთელი თავისი ბომბები დააყარა ფაშისტთა თვითმფრინავებს. დაიწვა მტრის 4 მანქანა. ჰიტლერელები ყოველ საათს გრძნობენ თავიანთ თავზე ჩვენი ავიაციის დარტყმების ძალას. გუშინდელი დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა 34 ტანკი, 121 ავტომანქანა, 11 ქვემეხი. ჩაახშეს და მოსპეს 17 საარტილერიო და სატყვიამფრქვევო წერტი, ააფეთქეს სამი საწყობი საომარმასალით [illegible]

[illegible]

გ. ქავთარაძე [illegible]

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ომიანობის შესაფერისად უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი, დროულად შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულებანი

მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას

გორი („კომუნისტის" კორ.). რაიონის აგიტატორები საფუძვლიანად აცნობენ კოლმეურნეებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას—1942 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ. კოლმეურნეები მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

16 ივლისს გორში ჩატარდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რაიონული თათბირი. საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა თათბირის მონაწილეებს გააცნო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1942 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ. მან განაცხადა, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილება ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ პროგრამის ზუსტად და დროულად განხორციელებისათვის.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის" თავმჯდომარე ორდენოსანი ვ. ჯანიზაშვილი, რომელმაც განაცხადა: პარტიისა და მთავრობის მითითებებს მოსავლის მთლიანად აღებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულების შესახებ განუხრელად შევასრულებთ, ვკისრულობთ მოსავალი ავიღოთ 10 სამუშაო დღეში. სოფ. სვენეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" ბრიგადირმა ხაზელაშვილმა განაცხადა: თავთავიანი კულტურების მოსავალს ისე ავიღებ, რომ არ დავუშვებ არც ერთ კილოგრამ დანაკარგს, და წელს ჰექტარზე საშუალოდ მივიღებ 500 ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

ქვემო-ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. საძაგლიშვილმა და კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. შარაშიძემ იკისრეს ომიანობის შესაფერისად აიღონ მოსავალი.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება თავთავიანი მარცვლეულის მოსავალი წელს აიღონ დაწესებულ ვადაზე ადრე, სახელდობრ 10 სამუშაო დღეში.

იბრძვიან უხვი სამხედრო მოსავლისათვის

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურელი კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. [illegible] ლები—თ. წერეთელი, ლ. ლაბაძე, ვ. ლაბაძე და სხვ. სოფ. მორძგვეთის კოლმეურნე ქალებმა დ. ღვალაძემ, ნ. კაპანაძემ, თ. მიროტაძემ [illegible]

[illegible] კოლმეურნეობა (თავმჯდომარე რ. ფანჩულიძე) შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ნათესების დამუშავებაში შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა. პირველ ბრიგადაში, რომელსაც ა. მაჭარაშვილი ხელმძღვანელობს, ნ. ძინძიბაძე, გ. ბიწაძე, თ. ბარათაშვილი, ქ. გაჩეჩილაძე დღიურ გეგმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

მამაცურად მუშაობენ სოფ. ნიგოზეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ქა[illegible] 52 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღეს.

საკოლმეურნეო მინდვრებში თავდადებული შრომის ნიმუშებს იძლევიან სოფ. მანდაეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე კომუნისტები შ. გელაშვილი, ა. ფერაძე, დ. მოდებაძე და ა. ციციძე.

პ. ჭიღაძე

მაღალი სამხედრო მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ

წულუკიძის მტს-ის კოლექტივი თავიდანვე სერიოზულად შეუდგა მუშაობას 1942 წელს უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად. ტრაქტორების შემოდგომა-ზამთრის რემონტი ვადაზე ადრე და ხარისხიანად დამთავრდა, რისთვისაც მტს-ის დირექტორი ამხ. ნ. ხვიჩია, ინჟინერი ვლ. ცაგარეიშვილი და მექანიკოსი აკ. ბახტაძე საქმიწსახკომის მიერ დაჯილდოებულ იქნენ ორ-ორი თვის ხელფასით.

მტს-ის ტრაქტორისტებსა, მუშა-მოსამსახურეებსა და სპეციალისტებს შორის დიდი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებამ. მტს-ში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ბოლშაია რაკოვსკაიას მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივის მოწოდებისთანავე წულუკიძის მტს-ის კოლექტივი ჩაება სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

წულუკიძის მტს-მა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად 1942 წლის სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა ვადაზე 25 დღით ადრე 119 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 1.353 კილოგრამი საწვავი მასალა, ხოლო 1 ივლისისათვის 1942 წლის სამი კვარტალის გეგმა 101,5 პროცენტით იქნა შესრულებული, 3.055 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით მოიხნა 3.081 ჰექტარი და დაზოგილია 1.743 კილოგრამი საწვავი.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ტრაქტორისტებმა. საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატმა ვანიკო ფირცხალაძემ, რომელმაც გეგმა 213 პროცენტით შეასრულა, 155 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 330,8 ჰექტარი. ტრაქტორისტმა ალექსანდრე გორდაძემ გეგმა 198,5 პროცენტით შეასრულა—132 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 252 ჰექტარი და დაზოგა 677,4 კილოგრამი საწვავი, ტრაქტორისტებმა ნინო ფირცხალავამ, ლიუდმილა ბარაბაძემ და მარგალიტა მელქაძემ გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ბრიგადებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება წილად ხვდა ქალთა სატრაქტორო ბრიგადას, რომელმაც 656 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 932 ჰექტარი, სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 142 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 949 კილოგრამი საწვავი მასალა.

წელს დროულად და ხარისხიანად სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებშიც. კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმები. ასევე კარგად ჩატარდა აბრეშუმის პარკის დამზადება.

მტს-ის პოლიტგანყოფილება საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომთან ერთად ყოველდღიურ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში 205 აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე მუშაობს. 1942 წელს კოლმეურნეობებში სამამულო ომის თემებზე ჩატარებულია 45 ლექციამოხსენება და 77 კონსულტაცია, რასაც 5.078 კაცი დაესწრო.

საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ 1942 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. კოლმეურნეობები სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მოსავლის მთლიანად აღებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

წულუკიძის მტს-ის და მისი მომსახურების კოლმეურნეობების პარტიული და კომკავში[illegible] რული ორგანიზაციების ყურადღება წელს მიპყრობილია იქითკენ, რომ მაღალი სამხედრო მოსავალი ავიღოთ სწრაფად, უდანაკარგოდ, რომ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მივცეთ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, აქტიურად დავეხმაროთ ჩვენს გმირ წითელ არმიას კაცობრიობის უბოროტესი მტრის —პირსისხლიანი ფაშისტების დაჩქარებით განადგურებაში.

პ. ნანიტაშვილი

წულუკიძის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი.

გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა ხაშურის ლ. პ. ბერიას სახელობის საელექტრომავლო დეპოს

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საელექტრომავლო დეპომ ივნისში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის გზების საელექტრომავლო დეპოებს შორის. სრულიად-საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსმა ამხ. ა. თამრაზოვმა საქინფორმის თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ხაშურის ელექტრო დეპომ ივნისში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. შესრულებულია ყველა ტექნიკური ნორმა. საელექტრომავლო პარკის კოლექტივის 95 პროცენტი ჩაბმულია ლენინურ მოძრაობაში. დეპოს სტახანოველები უკეთ მუშაობისათვის ბრძოლაში შრომითი ენტუზიაზმისა და მაღალი ინიციატივის ნიმუშებს იძლევიან, აქტიურად ეხმარებიან წითელ არმიას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. უფროსი მემანქანის ამხ. ტატიშვილის ბრიგადამ საელექტრომავლო დეპოების პრაქტიკაში პირველად გამოუშვა აწევითი რემონტიდან ელექტრომავალი საკუთარი ძალებით, შემკეთებელი პერსონალის დაუხმარებლად. რემონტი შესრულებულ იქნა მაღალხარისხოვნად და საუკეთესო შეფასება მიიღო. სახალხო კომისრის ბრძანებით ეს ბრიგადა დაჯილდოებულ იქნა ნიშნით „საპატიო რკინიგზელი". მისი მაგალითისამებრ მემანქანეებმა ამხ. ამაშუკელმა, ალაძემ და სხვებმა საკუთარი ძალებით ნორმით გათვალისწინებული 9 დღის ნაცვლად 6 დღის განმავლობაში გამოუშვეს თავიანთი ელექტრომავალი აწევითი რემონტიდან.

მძიმე წონის მატარებლების წაყვანის საუკეთესო ნიმუშებს გვიჩვენებენ საელექტრომავლო ბრიგადები. მემანქანეები ამხ. ბარბაქაძე, ინასარიძე, კაკაბაძე, რობაქიძე, მანჯავიძე და მრავალი სხვა სისტემატურად გადამეტებით ასრულებენ ტექნიკური და სამარშრუტო სიჩქარის ნორმებს. დეპოში არ მოიპოვება არც ერთი მუშა, რომელიც გეგმას არ ასრულებდეს. მექანიკურმა საამქრომ, ელექტროსაამქრომ და სხვ. ივნისის გეგმა 230-დან 280 პროცენტამდე შეასრულეს.

გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნება ახალ ენტუზიაზმს გამოიწვევს დეპოში და მძლავრი სტიმული გახდება იმისათვის, რომ დეპომ გააძლიეროს ბრძოლა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მოსაპოვებლად. (საქინფ).

იბრძვიან მაღალი სამხედრო მოსავლისათვის

საჩხერე („კომუნისტის" კორ.). საჩხერელი კოლმეურნეები თავდადებულად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში, იბრძვიან მაღალი სამხედრო მოსავლის მისაღებად. სოფ. არგვეთის კოლმეურნეობა „ლენინის გზით"-ის წევრები ამხ. გ. ძინძიბაძე, მ. კაპარიძე, მ. ძინძიბაძე, ვ. სადუნიშვილი გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამხ. გ. თოდაძე ხელმძღვანელობს.

სამხედრო ყაიდაზე მუშაობენ სოფ. მოძვის ბერიას სახელობის, სოფ. ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის და სოფ. სარეკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები. დავალებებს 200 პროცენტით ასრულებენ მოძველი კოლმეურნეები ამხ. გ. ნოზაძე, ღ. ნოზაძე, ს. გეგეშიძე, მ. ნოზაძე, პ. ნოზაძე, ტ. ნოზაძე, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ აგრეთვე სოფ. ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ამხ. ტ. და კ. კაპანაძეები.

სოფ. ზედა ბერეთისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მალე სიმინდის მეორე თოხნას დაამთავრებენ. კოლმეურნეები ამხ. ლ. გრიგალაშვილი, მ. შველიძე, მ. მუმლაძე, ო. ტაბატაძე და სხვები ყოველდღიურად ნაცვლად 800 კვადრატული მეტრისა 1.200-1.500 კვადრატულ მეტრ ნათესს თოხნიან.

რაიონის მეაბრეშუმე ქალებმა ქისტაურელთა გამოცდილების გამოყენებით აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი მიიღეს. მეაბრეშუმე ქალებმა ამხ. მ. შარაშიძემ, ღ. მუკუთარიძემ, დ. ღულინიშვილმა უკვე ჩააბარეს სახელმწიფოს აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი. ყოველ კოლოფზე ნაცვლად 41 კილოგრამისა მათ 65 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღეს.

მარცვლეულის ჩაბარება

ყვარელი („კომუნისტის" კორ.). რაიონში მასობრივად გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოსავლის აღებასთან ერთად კოლმეურნეობები იხდიან თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. 16 ივლისს სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადმა" წითელი ქარავანით მოაწყო ქერის ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

ს. ხუტილაშვილი

თამბაქოს შეტეხა დაიწყო

ყვარელი („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო თამბაქოს შეტეხა. ახალი მოსავლის თამბაქოს შეტეხას რაიონში პირველად შეუდგნენ სოფ. ენისელის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყარო" და სოფ. საბუეს კოლმეურნეობები.

გარდამავალი წითელი დროშა სტალინის სახელობის მაღაროს

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). წარმატებით მუშაობს სტალინის სახელობის მაღაროს მეხუთე უბანი ორდენოსან ფოფხაძის ხელმძღვანელობით. უბანმა ივლისის პირველი ნახევრის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. კურტანიძის ცვლამ მარგანეცის გამოღების ივლისის პირველი ნახევრის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა, გვენეტაძის ცვლამ — 111 პროცენტით, ცუცქირიძის ცვლამ—110 პროცენტით.

ივლისის გეგმები უკვე შეასრულეს სტახანოველებმა გეზბახიანმა, მაჭარაშვილმა, სალარაშვილმა, ძინძიბაძემ, კაპანაძემ. მაღარომ 16 ივლისს მიიღო მარგანტრესტისა და პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

მუშაობა გააუმჯობესა მთავარმა მექანიკურმა სახელოსნომ, რომელმაც ივლისის პირველ ნახევარში გამოუშვა უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე ივნისში.

ზრდიან ახალგაზრდა კადრებს

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ინდივიდუალურ სწავლებაში 78 ქალი და კაცია ჩაბმული. მიმდინარე წლის იანვრიდან კი კვალიფიკაცია აიმაღლა და დამოუკიდებლად მუშაობს 33 კაცი, რომელთა შორის 12 დიასახლისია. ამ მუშებმა სტახანოვური ტემპებით იწყეს მუშაობა, დაეუფლნენ დაზგებს და აგრეგატებს.

ამხ. კ. ბერიაშვილი წინათ დამხმარე მუშა იყო, იგი დღეს კვალიფიციური ცეცხლფარეშია. ამხ. გ. გასიტაშვილმა ხარატობა ისწავლა და ამჟამად გეგმას 100-150 პროცენტით ასრულებს. ამხ. რ. დანილოვი და მარიამ იუნკინა ხარატები გახდნენ. ამხ. გ. ახოლაშვილმა კი ამწევი ონკანის მემანქანეობა შეისწავლა და უწუნოდ მუშაობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდობისა და დიასახლისების ბეჯითობა კვალიფიკაციის ამაღლებაში. ახალგაზრდა ოთარ ჰიპინაძე ქარხანაში ამ რამდენიმე თვის წინათ მოვიდა. იგი დღეს კვალიფიციური ხარატია და გეგმას 200 პროცენტით ასრულებს. ყოფილი დიასახლისები ნინო სარაული, მარიამ კულინსკაია, მარიამ სიხარულიძე, ვალენტინა ქურინა დღეს კვალიფიციური ხარატები არიან.

ამწყობ საამქროში დოცენტ სვეტოვის ხელმძღვანელობით ბრიგადირებისათვის ჩამოყალიბდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელშიაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 43 კაცი მეცადინეობს.

სტახანოვური მუშაობის მეთოდების შესწავლაში დიდ როლს ასრულებენ ქარხანაში მოქმედი სტახანოვური სკოლები. ქარხნის მოწინავე სტახანოველები ამხ. ქსოვრელი, ვ. ბეჟუაშვილი, მ. კონიევი და სხვ. ამ სკოლებში ახალ კადრებს თავიანთი მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ.

ი. სოფრომაძე

პარტიული ცხოვრება

ფართოდ გავშალოთ პოლიტიკური აგიტაცია

პოლიტიკური აგიტაციის დარგში საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა. სამამულო ომის დაწყების დღიდან რაიონის ცენტრსა, კოლმეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებულია 430 ლექცია - საუბარი, რომლებსაც 45.321 კაცი დაესწრო. ამას გარდა, განათლების განყოფილების სალექციო ბიუროს ხაზით ჩატარებულია 98 ლექცია, რომლებსაც 6.841 კაცი დაესწრო. სულ ჩატარებულია 528 ლექცია-საუბარი, რომლებსაც 52.162 კაცი დაესწრო.

ლექციები უმთავრესად ტარდებოდა თემებზე: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი", „საბჭოთა პატრიოტიზმი", „წითელი არმიის გამარჯვების პირობები სამოქალაქო ომის პერიოდში", „რუსი ხალხის მიერ გერმანელი ოკუპანტების განადგურება 1918 წელს", „ვინ მართავს ფაშისტურ გერმანიას", „საბჭოთა მწერლობა სამამულო ომის სამსახურში", „საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა სამამულო ომში", „საბჭოთა ქალი სამამულო ომში" და სხვ.

1941 წლის 1 ივლისიდან 1942 წლის 15 ივლისამდე მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელებისა და პროპაგანდის ხაზით ჩატარებულია 221 ლექცია-მოხსენება. აქედან კოლმეურნეობებში 110, დაწესებულე[illegible]

[illegible] თოლს ჰკრეფს და დღიურ დავალებას 400 პროცენტით ასრულებს. სისტემატური და ყოველდღიური აგიტაციის შედეგად აგიტატორ შარაბიძის ბრიგადამ კარგ წარმატებებს მიაღწია. კარგ შედეგებს იძლევა გუმბრინის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მასწავლებელი-აგიტატორი ამხ. ვ. აფხაძე. ასეთივე მოწინავე აგიტატორები არიან შ. სინატაშვილი, იოსელიანი, გედენიძე და სხვები.

წარმოება-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში თვალსაჩინო ადგილზე მოეწყო ვიტრინები გაზეთ „პრავდისათვის", „იზვესტიისათვის" და „კომუნისტისათვის", სადაც სისტემატურად აკრავენ ამ გაზეთების ახალ ნომრებს.

სამამულო ომის შესაბამისად გარდაჰქმნეს მუშაობა პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, კლუბებმა, ქოხ-სამკითხველოებმა და ბიბლიოთეკებმა. გვიშტიბის სასოფლო კლუბმა სოფლის აქტივისათვის 10 მარტიდან დღემდე ჩაატარა 10 ლექცია-საუბარი. აგროტექპროპაგანდის ხაზით 2-ჯერ ჩატარდა აგრონომის საუბარი. კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებში ყოველდღიურად სწარმოებს ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვა. მაგრამ კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი მოიპოვება, მოწყობილი არ არის სამამულო ომისადმი [illegible]

[illegible]

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის სათავეში

[illegible]

(მდივანი ამხ. ჯ. ქოქოლაძე) სერიოზული მუშაობა გასწია კოლმეურნეთა შორის, რომლებიც მეომრულად მუშაობენ უხვი მოსავლის მისაღებად. კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეს, გაჩაღებულ სოცშეჯიბრებაში ჩაებნენ საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები.

ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ზ. კირკიტაძე ხელმძღვანელობს, კოლმეურნეობაში მოწინავედ ითვლება. ბრიგადის წევრები საუკეთესოდ უვლიან 25,5 ჰექტარზე დათესილ თამბაქოს, სიმინდს და კარტოფილს. ნათესებში გატარებულ იქნა აგროღონისძიებანი, რის შედეგადაც მოსავალს კარგი პირი უჩანს.

აგიტატორები კოლმეურნეობაში ეწევიან სოცშეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ამის შედეგად დაწინაურდა ზ. ბასილაძის საკოლმეურნეო ბრიგადა. კოლმეურნეობაში საუკეთესოდ არის [illegible] ბის გატარებით ახალ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, კოლმეურნეობამ სიმინდი დათესა 85 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 70 ჰექტარის ნაცვლად. სიმინდის მთელ ფართობზე ჩატარებულ იქნა პირველი თოხნა, ახლა მიმდინარეობს მეორე თოხნა. საუკეთესოდ მუშაობს ამხ. ზარხოშოღლის საკოლმეურნეო ბრიგადა. კარგად არის მოვლილი ციტრუსოვანთა პლანტაციები. კოლმეურნეთა ბეჯითი შრომის შედეგად კოლმეურნეობამ ივნისში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 110,3 პროცენტით შეასრულა. ივლისში ეს სამუშაო უფრო მაღალი ტემპით მიმდინარეობს.

ამ საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციას თავის მუშაობაში პრაქტიკულ და ოპერატიულ დახმარებას უწევს საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომი.

ნ. ყურაშვილი

მარჯვედ ვურტყათ მტერს

გაფთრებული ბრძოლა გაჩაღდა დონზე. მტერი არავითარ ზარალს არ ერიდება და სულ ახალ-ახალი დივიზიები გამოჰყავს ბრძოლის ველებზე.

წითელი არმიის გაზრდილმა ორგანიზებულობამ და სიმტკიცემ აიძულა გერმანელები ერთბაშად გამოიყვანონ ბრძოლაში თავიანთი არმიების ძირითადი ძალები და რეზერვები. და იქ, სადაც ისინი წინწამოწევას ახერხებენ, გაცილებით უფრო ნელა მოიწევენ, ვიდრე წინათ, და ბრძოლათა მსვლელობაში უდიდესი ზარალი მოსდით ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ასე ხდება ვორონეჟის რაიონში, სადაც მტერი ჩვენი ჯარების მტკიცე წინააღმდეგობასა და მძლავრ კონტრდარტყმებს შეხვდა. ასე ხდება მილეროვოს სამხრეთით გაჩაღებულ ბრძოლებში, სადაც გერმანელებს უდიდესი ზარალი მოსდით. [illegible]

[illegible] ლო შემთხვევითობა და მოულოდნელობა, და თუ ისინი გამოიჩენენ მზადყოფნას დასძლიონ ეს შემთხვევითობა და მოულოდნელობა.

მარჯვედ დარტყმის ხელოვნება ურყევი ნებისყოფის, მამაცობის, გულადობისა და მაღალ ოსტატობამდე აყვანილი ხერხიანობისაგან იქმნება. „წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მის მეტყვიამფრქვევეთა, მის არტილერისტთა, მის ნაღმმტყორცნელთა, მის ტანკისტთა, მის მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა ის არის, რომ ისწავლონ სამხედრო საქმე, ისწავლონ ბეჯითად, ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და, ამრიგად, ისწავლონ მტრის უეჭველი განადგურება. მხოლოდ ასე შეიძლება ვისწავლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნება" (სტალინი).

[illegible]

გამანადგურებლებისა, რომელნიც გაბედულად ეკვეთებიან ხოლმე მტრის ავიაგამანადგურებლებს მაშინაც კი, როცა ისინი ორჯერ და სამჯერ სჭარბობენ, მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი. მტერი ტაქტიკას იცვლის. მისი ავიაგამანადგურებლები ბრძოლას აუტეხენ ხოლმე ჩვენს ავიაგამანადგურებლებს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცენ ბომბდამშენებს მიზნისაკენ გაიკვლიონ გზა. მაშასადამე, ჩვენი მფრინავ-გამანადგურებლების მთავარი ამოცანაა მტრის ბომბდამშენების წინააღმდეგ მიჰმართონ შემმუსვრელი დარტყმები.

გადამლობი საზენიტო ცეცხლის დიდი სიხშირე ჯერ კიდევ არა ნიშნავს მის დიდ ეფექტიანობას. საზენიტო ცეცხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ურტყამს მარჯვედ, თუ ცეცხლის ფარდა საჭირო ადგილას და საჭირო დროს არის შექმნილი, თუ თავიდან ბოლომდე შენარჩუნებული იქნება მეზენიტეთა და მფრინავთა [illegible]

[illegible] ტის ათმა საუკეთესო სნაიპერმა მოკლე ხანში 800 გერმანელი გასწყვიტა. 200-მდე და მეტი ფაშისტი დახოცა კალინინის ფრონტზე თითოეულმა სახელგანთქმულმა სნაიპერთაგანმა—პეხოვმა, მარკოვიჩენკომ, ურვანცევმა. მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს სევასტოპოლის გმირ ქალს ლიუდმილა პავლიუჩენკოს, რომელმაც 300-ზე მეტი ჰიტლერელი დახოცა.

ყოველ ფრონტს და ყოველ ნაწილს თავისი წარჩინებული სნაიპერები ჰყავს. ისინი ყველანი თავიანთ სახელსა და თავიანთ ოსტატობას ერთ რამეს უნდა უმადლოდნენ: ისინი თავიანთი იარაღის ოსტატები გახდნენ!

სნაიპერი მაგალითი და ნიმუშია წითელი არმიის ყოველი მებრძოლისათვის. „რიგითმა მებრძოლებმა, — ნათქვამია ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებაში, — ზედმიწევნით შეისწავლონ შაშხანა, გახდნენ [illegible]

[illegible]

„პრავდის" მოწინავე, 18/VII.

სამხედრო ხერხიანობა

ნიკოლოზ კრეტოვის ტანკი

ლეიტენანტი ნიკოლოზ კრეტოვი დასაზვერავად გავიდა ტანკით, მალე მას ნაღმსატყორცნი დაუშინეს. პირველი ნამსხვრევები ჯავშანს მოხვდა. პერისკოპის სარკეში კრეტოვმა ცეცხლმოდებული თივის ზვინი დაინახა. როგორც ეტყობოდა, ამ ცეცხლიან ფარდას იქით გერმანიის ნაღმსატყორცნები იყო. კრეტოვმა გადასწყვიტა ჯერ სროლა არ დაეწყო. მან იცოდა, რომ მტერი ეშმაკობს, საჭირო იყო მტრისათვის ხერხიანობით ეჯობნა.

გერმანელებმა უეცრად სროლა შესწყვიტეს. გერმანელი ნაღმმტყორცნელები ხოხვით იცვლიდნენ პოზიციებს. ისინი ნაღმსატყორცნებს თივის სხვა ზვინის იქით სდგამდნენ ცეცხლმოდებული ზვინიდან 150 მეტრზე. კრეტოვმა ორჯერ ესროლა გიგანტურ კოცონს.

კოშკურის მსროლელმა კანდაუროვმა გაკვირვებით შეხედა თავის მეთაურს—იქ ხომ არაფერი არ იყო.

შემდეგ ვოიკოვი განზე გაცოცდა და სასროლოდ გაამზადა ხელის ტყვიამფრქვევი. ავტომატიდან გაჭიმული ზონარი მის გვერდით იდო.

ვოიკოვი ბალახში ჩაიმალა და ზონარს მოსწია. გაისმა ჯერი. გერმანელებმა საპასუხო სროლა აუტეხეს ხეს, რომელზედაც ავტომატი ეკიდა. უმცროსმა ლეიტენანტმა კვლავ მოსწია ზონარს. ავტომატმა მეორე ჯერი დასცალა. როცა გერმანელებმა კვლავ უპასუხეს, ვოიკოვმა ხელის ტყვიამფრქვევი აამუშავა. მალე გერმანელებმა ყველა თავისი საცეცხლე წერტი აამოქმედეს, ვოიკოვი კი მათს განლაგებას ანიშნავდა. დღით მან თავისი ქვეგანაყოფი იერიშზე გამოიყვანა და გერმანელებს წაართვა სოფელი. მას დაეხმარნენ არტილერისტები, რომლებსაც ვოიკოვმა ზუსტი ცნობები მიაწოდა მტრის საცეცხლე წერტების განლაგების შესახებ.

როგორ გამოიყენეს გერმანელთა ნაღმები

[illegible]

[illegible] არ ისროდნენ, რათა თავიანთი საცეცხლე წერტები არ გამოეაშკარავებინათ. დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევები ოსტატურად იყო შენიღბული. საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ სად იყვნენ ისინი დადგმული. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამის გაგება?

უმცროსი ლეიტენანტი ვოიკოვი ხოხვით მიიპარა გერმანელთა სანგრებთან და თავისი ავტომატი მიაბა ხეს. ავტომატის სასხლეტს მან წვრილი ზონარი მიამაგრა.

[illegible] ლობურა აფეთქდა. გასასვლელი გაიხსნა. მესანგრენი წინ გაცოცდნენ.

მიაღწია რა სოფლის განაპირას, ოცეულის მეთაურმა კორშაკოვმა სიგნალი მისცა ტანკისტებს: „გზა თავისუფალია".

მესანგრეთა მიერ გაკაფული გასასვლელებით საბჭოთა ტანკები მტერს ეკვეთნენ.

ე. კაპლანსკი

დასავლეთის ფრონტი, 15 ივლისი. (საქინფის სპეციალური).

მიღება საშუალო სამედიცინო სკოლებში

სსრ კავშირის ჯანსახკომმა დაამტკიცა საშუალო სამედიცინო სკოლებში მოსწავლეთა მიღების გეგმა. წელს მიღებულ იქნება 40.000-ზე მეტი კაცი.

ის პირნი, რომელთაც 1942 წელს შვიდწლედი დაამთავრეს ნიშნებით „ფრიადი" და „კარგი", უგამოცდოდ მიიღებიან; ის პირნი, რომელთაც არასრული საშუალო სკოლები „ფრიადსა" და „კარგზე" ნაკლები შეფასებით დაამთავრეს, გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და მათემატიკაში, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სწავლება არარუსულ ენაზე სწარმოებს, —იმ ენაში, რომელზედაც სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს. (საქინფ).

20-ჯერ უფრო იაფად

„ორჯონიკიძენავთის" (ბაქო) მე-5 სარეწში წელს მწყობრს ათობით ახალი და აღდგენილი ჭაბურღილი შეემატა. თითოეული მათგანის მოწყობა საშუალოდ 20-ჯერ უფრო იაფად დაჯდა, ვიდრე ომამდე ჯდებოდა. საერთო ეკონომიამ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა ინჟინერ-მექანიკოს კობინის ბრიგადამ; აღნიშნულმა ბრიგადამ ფართოდ გამოიყენა შიდასარეწაო რესურსები: ძველი მილებისა, საკვალთები, სარქველები. ნავთის მრეწველობის მუშაკებმა ჭაბურღილის ამნაირად გამართვით დიდძალი ლითონი და დეფიციტური მოწყობილობა შეუნარჩუნეს სახელმწიფოს. (საქინფ).

ჩვენი სამშობლოს გმირ დამცველებს სახელი და დიდება!

შეხვედრა

ტაშის გრიალმა ერთბაშად დაარღვია სიჩუმე. ხალხით სავსე დარბაზი მხურვალედ მიესალმა სამშობლოს უშიშარ დამცველს, სამამულო ომის სახელოვან მებრძოლს, საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძეს.

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატ „კომუნისტის" კლუბში შეიკრიბნენ რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის მუშა-მოსამსახურენი, თბილისის საწარმო-დაწესებულებების, საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუშკორები და ძირეული პრესის მუშაკები.

აქ არიან ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შალვა დადიანი, სტალინური პრემიის ლაურეატი მწერალი ლეო ქიაჩელი, სტალინური პრემიის ლაურეატი რეჟისორი ნ. შენგელაია, სტალინური პრემიის ლაურეატი მხატვარი ირაკლი თოიძე, ორდენოსანი მწერლები სიმონ ჩიქოვანი, სერგო კლდიაშვილი, პოეტი იოსებ გრიშაშვილი, სამამულო ომის სახელგანთქმული მონაწილე ორდენოსანი მაიორი შალვა ჩინჩალაძე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ბაბაიანი, ამხ. შაფაქიძე და მრავალი სხვა.

ისინი აქ მოვიდნენ იმიტომ, რომ შეხვდნენ სევასტოპოლის გმირული დაცვის სახელოვან მონაწილეს, საბჭოთა კავშირის გმირს ამხანაგ მიხეილ გახოკიძეს.

შეხვედრაზე გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ვ. ხატიაშვილი თავის მოკლე სიტყვაში ეხება სევასტოპოლის გმირული დაცვის მნიშვნელობას და ამ დაცვის სახელოვანი მონაწილის ამხ. მიხეილ გახოკიძის საბრძოლო ცხოვრებას.

დარბაზი მხურვალე ოვაციით ხვდება ტრიბუნაზე ამხ. გახოკიძის გამოჩენას. დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს და პატივისცემას გმირი მებრძოლისადმი.

მოკლედ, უბრალოდ, სადად და დამაჯერებლად ჰყვება ეს ფოლადის რაინდი მრისხანე საბრძოლო ეპიზოდებს:

— როცა ფრონტზე წავედი, მე მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა—სამშობლო დამეცვა რადაც უნდა დამჯდომოდა, სიცოცხლე შემეწირა, მაგრამ მომესპო საზიზღარი ფაშისტი ოკუპანტები. მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილმა და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულმა მე გმირად გადამაქციეს. ერთხელ მთელი ბატალიონი წამოვიდა იერიშზე ერთ-ერთი ჩვენი ოცეულის წინააღმდეგ. ჩემთან მაშინ იყვნენ წითელარმიელები პეტროვი, ჯამბაევი და შომინი. ისინი დაიჭრნენ, მაგრამ ჩემს შეძახილზე — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" ჩემთან ერთად დადგნენ ჩვენი ოცეულის მისაშველებლად და ამ ბრძოლაში მარტო მე რამდენიმე ათეული ფაშისტი ავაზაკი გავანადგურე.

მხურვალე ტაშმა დაფარა გმირის ეს სიტყვები. მის საბრძოლო ეპიზოდებს მთელი დარბაზი დაძაბული ყურადღებით უსმენდა და კვლავ ტაშმა დაიქუხა, როცა გმირმა განაცხადა:

— მე მზად ვარ ისევ წავიდე ფრონტზე და ვიბრძოლო მანამდე, ვიდრე უკლებლივ ყველა ფაშისტი გარეწარი არ იქნება განადგურებული ჩვენს მიწა-წყალზე. გმირი წითელი არმია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბოლომდე გაანადგურებს ჰიტლერელ ავაზაკებს და ჩვენი ძლევამოსილი დროშები კვლავ აფრიალდება განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

— გაუმარჯოს ჩვენს მამას, მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს მშობლიურ დიდ სტალინს!

დარბაზში კვლავ ჰქუხს ტაში. ყვავილების თაიგულები მიაქვთ გმირის პატივსაცემად.

ტრიბუნაზეა ორდენოსანი მაიორი ამხ. შალვა ჩინჩალაძე. იგი მგზნებარედ ამბობს:

— ძნელია ყოველივე იმის გამოთქმა, თუ რა გამოიარა ამხანაგმა მიხეილ გახოკიძემ. მას თავი გადადებული ჰქონდა სამშობლოსათვის და იმდენი რამ გააკეთა, რაც მხოლოდ საბჭოთა ადამიანს, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით ანთებულ და ფოლადისებური ნებისყოფით გამსჭვალულ მამაც პატრიოტს შეუძლია ჩაიდინოს. როცა მტრის წინააღმდეგ ცეცხლის ხაზზე ვიდექი, ათასჯერ მიფიქრია: საბჭოთა ადამიანს ფრონტზე მხოლოდ ერთი რამ უნდა ასულდგმულებდეს: დაიცვას სამშობლო, მოსპოს მტერი. ჩვენს ქვეყანას მრავალი გმირი ჰყავს. ჩვენი ქვეყანა გმირების ქვეყანაა და ისეთ სახელოვან გმირებს, როგორიც არის ამხ. მიხეილ გახოკიძე, მომავალი ბრძოლები ისევ და ისევ წარმოშობენ დიდი სტალინის საქმის დასაცავად, ჰიტლერელთა ხროვის გასანადგურებლად.

ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შალვა დადიანი ამბობს:

— მე მოხუცი ვარ, მაგრამ ახალგაზრდული გატაცებით შევხარი ჩვენს გმირს. იგი ისე უბრალოდ მოგვიყვა თავის სახელოვან თავგადასავალს, ისე თავმდაბლად და უბრალოდ, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი ჩაედინოს ან ბოსტანი გაემარგლოს. ამ უბრალოებაშიც ჩანს ჩვენი გმირების სიდიადე. დიდი და მრისხანე ამბები გამოსცადა ამხ. გახოკიძემ. მასში განსახიერებულია საბჭოთა ხალხის მადლის ძალა. იგი მარტო გახოკიძე კი არ არის, ეს მარტო მისი გამბედაობა, მისი თავდადება კი არ არის, არამედ საბჭოთა ხალხის, დიდი სტალინის საქმის ძლევამოსილების ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია. გმირებს ზრდის ჩვენი ქვეყანა და ამ გმირების ზღვა ულეველია.

სტალინური პრემიის ლაურეატი, ორდენოსანი კინო-რეჟისორი ამხ. ნ. შენგელაია აღფრთოვანებით ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. გახოკიძის შეუპოვარ ბრძოლაზე ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

— ამხ. მ. გახოკიძემ უდიდესი ვაჟკაცური საქმეები ჩაიდინა. ეს არის ხალხის ვაჟკაცობის გამოვლინება. ამხ. გახოკიძე ხალხის წიაღიდან წარმოიშვა და ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა. პარტიამ, ხალხმა მაღალი ჯილდო მისცა მას. ეს ჯილდო მან ღირსეულად დაიმსახურა და სადაც არ უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, იგი ყველგან უდიდესი სიხარულით, უდიდესი სიამაყით წაიკითხავს ამხ. გახოკიძის გმირობის ამბავს.

„კომუნისტის" სტამბის მუშა-მოსამსახურეების სახელით შეხვედრაზე სიტყვას ამბობს ამხ. ი. მხატვარი. იგი აღნიშნავს, რომ ამხ. გახოკიძე ის უშიშარი ქართველი მებრძოლია, რომელმაც სამამულო ომის მრისხანე ვითარებაში გმირი ქალაქის სევასტოპოლის ფრონტზე არა მარტო ისახელა თავი, არამედ ასახელა საბჭოთა იარაღი, გაამართლა იმ ხალხის ნდობა, რომლის წიაღშიაც ის დაიბადა, გაამართლა ის ნდობა, რომლითაც იგი ლენინ-სტალინის პარტიამ აღჭურვა. პირობას ვიძლევით, რომ ვიმუშავებთ გაათკეცებული ენერგიით, ისე დავეუფლებით სამხედრო საქმეს, როგორც რთულ საფრონტო ვითარებაში დაეუფლა ამხ. მ. გახოკიძე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა 1942 წელი გადავაქციოთ გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა საბოლოო განადგურების წლად.

„კოოპინკავშირის" მუშა-მოსამსახურეთა სახელით სიტყვას ამბობს ამხ. დოლიძე:

— ამხ. გახოკიძე ომამდე ჩვენთან მუშაობდა და ენერგიული, საყვარელი, მისაბაძი მუშაკი იყო. საბჭოთა ადამიანის ეს საუკეთესო თვისებები მან ფრონტზე კიდევ უფრო მკვეთრად გამოავლინა. მისი გმირობა გვაფრთოვანებს მის ამხანაგებს მუშაობაში და ვცდილობთ მივბაძოთ ამხ. გახოკიძეს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ბაბაიანი ამბობს:

— როდესაც პირველად გავიგეთ გახოკიძის დაჯილდოება, ჩვენ ვიგრძენით, რომ ეს იყო „ჩვენი გახოკიძე", „ჩვენი მიშა", რომელიც ომამდე „კოოპინკავშირის" პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. ის დიდხანს მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებში. ყოველთვის გამოირჩეოდა ენერგიით. პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობის დროს ამხ. გახოკიძე, როგორც ბოლშევიკი, მტკიცედ იდგა თავის პოსტზე და დაუღალავად მუშაობდა. ომამდე ამით გამოხატავდა იგი სამშობლოსადმი სიყვარულს. მამაცმა პატრიოტმა ბრძოლის ფრონტზე მთელი თავისი ნიჭი, უნარი, ენერგია გვიჩვენა სამშობლოს დაცვის საქმეში.

შეხვედრაზე ახალგაზრდა პოეტებმა ლექსებით შეამკეს საბჭოთა კავშირის გმირი. პოეტმა იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა ამხ. მ. გახოკიძისადმი მიძღვნილი ლექსი. პოეტმა ანდრო თევზაძემ თავის ლექსში გამოხატა ის აზრი

რომ ვერავინ დასცემს ჩვენს სულს,
თუნდაც სისხლით დავიწუროთ.
ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს —
მას სტალინი მეთაურობს!

დარბაზში ჰქუხს ტაში სამშობლოსა და მისი გმირების სადიდებლად.

დასასრულ ამხ. ვ. ხატიაშვილმა დამსწრეთა სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. მ. გახოკიძეს შეხვედრისათვის და უსურვა მას ახალი გამარჯვებები ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის საქმის საკეთილდღეოდ.

დიდხანს ისმოდა მგზნებარე ტაში სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, ხალხთა დიდი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის გმირი მ. ლ. გახოკიძე ბრძოლის ველზე.

სტალინური პრემიის ლაურეატის ირ. თოიძის ნახატი.

„...სევასტოპოლის დაცვა საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი. სევასტოპოლელებმა გაამდიდრეს სსრ კავშირის ხალხთა სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები. სევასტოპოლის დამცველთა უსაზღვრო მამაცობა, გააფთრება მტერთან ბრძოლაში და თავდადებულობა საბჭოთა პატრიოტებს აღაფრთოვანებენ შემდგომი საგმირო საქმეებისათვის საზიზღარი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში".

(საბჭოთა საინფორმაციო ბიურო)

უძლეველი ქვეყნის გმირი

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. გახოკიძე ჩვენს წინაშე დგას.

დგას თავმდაბალი, წყნარი, იშვიათი მთქმელი.

ღიმილი დაჰკრის სახეზე მსმენელებს. მაგრამ აგერ ხედავთ, როგორ ეგზნება აუდიტორიის თვალები, როდესაც გმირი თითქოს უბრალოდ გვიამბობს თავისი გმირობის ამბავს.

თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად ის ვერც მოიქცეოდა.

მას ერთხელაც არ აუმაღლებია ხმა, არ მიუცია არავითარი პათოსი თავისი სიტყვებისათვის. მხოლოდ მისი ნაამბობი იყო ცეცხლოვან ქმედობათა მომთხრობელი, უმაღლესი საბრძოლო პათოსით აღსავსე. ჩვენ ვნახეთ ნამდვილი გმირი, ასეთი უბრალო და მიმზიდველი. ამაშია კიდეც მშვენიერება ჩვენი საყვარელი გმირებისა, რომელთა სასიქადულო ჯგუფს ეკუთვნის ამხ. მიხეილ გახოკიძე.

უყვირალნი, მაგრამ მოქმედნი.

მშვიდი გარეგნობით, მაგრამ ცეცხლოვანი, შინაგანი ვაჟკაცობით აღსავსე, მამაცი შეუმართებელი. გამჭრიახი, გონიერი და ყოველგვარი განსაცდელის დროს გამარჯვების რწმენით აღსავსე.

ეს არის ნაყოფი ჩვენი დიდი ეპოქის აღმზრდელობითი უნარისა, კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობისა.

ასეთი გმირების წარმომშობი ქვეყანა უძლეველია. იმიტომ არის გული სიხარულით სავსე, რომ გმირებს ზრდის ჩვენი ქვეყანა.

მათი სვლა უძლეველია!

შალვა დადიანი

ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ხალხის სახელოვანი შვილი

ქართველმა ხალხმა თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა სამამულო ომში სამშობლოსა და ლენინ-სტალინის დიადი დროშის დასაცავად. რუსეთის, უკრაინისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხის შვილებთან ერთად ქართველი ვაჟკაცები მეცამეტე თვეა შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ გააფთრებული მტრის წინააღმდეგ.

ამ დიდი ომის დროს არა ერთმა ქართველმა მებრძოლმა ისახელა თავი და მათ შორის გამოჩნდნენ ისეთნიც, რომელნიც მაგალითი შეიქნენ ყველა მებრძოლისათვის.

ასეთი მაგალითია ჩვენთვის ამხ. მიხეილ გახოკიძე. ის ქართველი ხალხის შვილია, მისი წიაღიდან გამოსული, გაზრდილი ქართულ კეთილშობილ იავნანაზე, რომელიც ყრმას დამღერის შრომის სიყვარულს და მტრის სიძულვილს.

ის შვილია იმ ხალხისა, რომელმაც წარმოშვა უდიდესი ადამიანი, ჩვენი იმედი—დიდი სტალინი.

ის შვილია იმ პარტიისა, რომლის დროშა არასოდეს არ დაიხრება.

დიდება სამამულო ომის გმირებს!

დიდება საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. მიხეილ გახოკიძეს!

სერგო კლდიაშვილი

ორდენოსანი მწერალი

საბჭოთა კავშირის გმირს მიხეილ გახოკიძეს

იდექ სამშობლოს გმირებთან ერთად
სევასტოპოლის მაღალ ჯებირთან,
შესამუსრავად მუხანათ მტერთა
წინ მიუძღოდი შენებრ დევ-გმირთა.

ხარობდა მკლავი გმირული შრომით,
როგორც ფრანგული დაუჭანგავი.
თან გახლდნენ ძმები: პეტროვი, შომინ
და მესამე ძმაც—გმირი ჯამბაი.

შურისძიების მოიკალ ჟინი,
და მეც ამ ლექსში იმაზე ვგალობ,
დაჩეხილ მტრების რომ დასდგი ზვინი
და ხვავიანად გალეწე კალო.

ქართლის ყვავილნი თვალებს ახელენ
და მოფრინავენ შენსკენ ასობით,
რადგან სამშობლო შენ ასახელე
შენი გმირობით და ვაჟკაცობით.

შეგერგოს ტკბილად ალერსი დედის,
სტალინის დროშის შუქი გმოსავდეს
შენ, გზის გამკაფავს ბრწყინვალე ბედის,
უშიშარ მებრძოლს სამშობლოსათვის!

ალექსანდრე აბაშელი

18 ივლისი, 1942 წ.

შენი მახვილი

საბჭოთა კავშირის გმირს მ. გახოკიძეს

შენი მახვილი ისე კაშკაშებს
თითქოს ცის ელვა ანათებს ნისლში.
გულს უმამაცებს მებრძოლ ვაჟკაცებს
და ზღვად გუბდება დუშმანის სისხლი.
გული სხვაგვარად დაიწყებს ფეთქვას,
გაგიკაჟდება ხელში მახვილი.
თითქოს ქარბუქის გუგუნთან ერთად
გესმის ჭაღარა დედის ძახილი —
„არ შეარცხვინო მშობლის მანდილი,
და წინაპართა ნათელი სული.
სთქვან: საქართველოს მთებში გაზრდილი
ვეფხვი ყოფილა ჭანგშემართული"...
უცებ შეხედავ შავლეგო ბიჭებს,
შენ მათი ძმა ხარ ღვიძლზე ნადები.
„სამშობლოსათვის!"... შესძახებ მტკიცედ
და მტერს სანგარში შეუვარდები.
ფოლადი რეკავს ვაჟკაცის ხმაში,
ბრძოლის ველს გმირი ცეცხლად ედები...
და ყუმბარების საზარელ კვამლში
ეცემა მტერთა სილუეტები...
ასე გმირულად იცავდი ქალაქს,
ახლაც გმირულად ბობოქრობ ასე.
შენი სუნთქვა და მარჯვენის ძალა
მშობლიურ მთა-ბარს ევლება თავზე.
გიალმასდება ფრანგულის პირი
და მტერს ზღაპრული დევივით ხოცავ,
როცა ღრუბლებში შუქმეტყორცნილი
სივრცეს მიაპობს სტალინის დროშა.

იოსებ ნონეშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. გახოკიძე კომბინატ „კომუნისტის" კლუბში სტამბის მუშაკებს შორის.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. გახოკიძე კომბინატ „კომუნისტის" კლუბში საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა კავშირის გმირი უმცროსი პოლიტხელი მ. ლ. გახოკიძე

უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სახელოვან მებრძოლთა შორის დგას და საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოების გასანადგურებლად თავდადებულად იბრძვის ამხ. მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძე. უშიშარი ვაჟკაცი და გამბედავი, უნარიანი პოლიტიკური ხელმძღვანელი—ასეთი სახელი აქვს მოხვეჭილი მებრძოლებში ამხ. მ. გახოკიძეს.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამხ. გახოკიძის ვაჟკაცობა და სამშობლოს ინტერესებისათვის თავდადება. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 20 ივნისის ბრძანებულებით უმცროს პოლიტხელს მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის" გადაცემით.

ამხ. მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძე დაიბადა გეგეჭკორის რაიონის სოფ. ქვაითში 1909 წელს. ადგილობრივი სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მამას ეხმარებოდა მეურნეობაში, ხოლო შემდეგ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, კვლავ განაგრძო სწავლა.

წითელ არმიაში გაწვევამდე ამხ. მ. გახოკიძე მუშაობდა კოოპინკავშირის კადრების განყოფილების გამგედ და პარტბიუროს მდივნად. სამამულო ომის ფრონტიდან იგი გამარჯვების რწმენით აღსავსე წერილებს უგზავნიდა მახლობლებს. „ძველებურად ვურტყამთ ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილ ჰიტლერელებს და დაუზოგავად ვანადგურებთ იმ ქოფაკებს, — სწერს იგი მეუღლეს ერთ-ერთ წერილში,—შენ იცი, ჩემო ვერა, როგორ კარგად გაზრდი ჩვენს შვილს. ის ისეთი ვაჟკაცი უნდა იქნეს, რომ მამა ასახელოს, მთელი ჩვენი ქვეყანა ასახელოს. ჯერჯერობით კი მე შევეცდები გასახელოთ ყველანი თქვენ და ვასახელო ჩემი პარტია და ჩემი სამშობლო. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. არავითარი ეჭვი არ არის, რომ მალე მოვუღებთ ბოლოს საზიზღარ ჰიტლერელებს. აშკარად შესამჩნევია, რომ ჰიტლერელების ჯარი ახლა ის აღარ არის, რაც შარშან ამ დროს, ან თუნდაც გასულ შემოდგომაზე იყო..."

სახლში გამოგზავნილ მეორე წერილში ამხ. მ. გახოკიძე იწერებოდა: „ჩვენ, ფრონტზე მყოფებმა, ვიცით, რომ ახლა ჩვენში გაშლილია საკავშირო-საკავშირო შეჯიბრება საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენი მუშების, სტახანოველების წარმატებანი დიდ სიხარულს და საბრძოლო აღფრთოვანებას იწვევენ მებრძოლებში. შეჯიბრება აქაც გვაქვს. ჩემს ქვეგანაყოფს, მაგალითად, სოციალისტური შეჯიბრება აქვს მეზობელ ქვეგანაყოფთან მტრის უფრო მეტი რაოდენობით განადგურებაში. ამ შეჯიბრებამ მებრძოლებში კიდევ უფრო გააძლიერა საბრძოლო სულისკვეთება..."

„ძმაო შალიკო, — სწერდა ამხ. მ. გახოკიძე თავის სიძეს ამხ. შ. თუთმანიძეს,—მე ჩემი ძვირფასი, ვაჟკაცი მებრძოლებით თავგანწირვით ვიბრძვი დიდი სამამულო ომის ფრონტზე და დღითი დღე ულმობელად ვანადგურებ ფაშისტ ორფეხა მხეცებს. მე ბევრს ვმუშაობ ჩემს თავზე, ვეუფლები რთულ საბრძოლო ტექნიკას, ყოველ ბრძოლაში ვცდილობ გავუგო მტერს ბრძოლის ხერხები და კონტრხერხებით ვუპასუხო. ამას თითქმის ყოველთვის ვახერხებ და მტერს თავზარს ვცემ მისთვის მოულოდნელი მრისხანე საპასუხო შეტევებით.

ძვირად დავუსვით წუნკალ ფაშისტებს ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრა. სანამ მკერდში გული მიცემს, იგი აღვსილი იქნება ჰიტლერელებისადმი უსაზღვრო სიძულვილით; სანამ მკლავში ღონე მექნება, ერთი წუთითაც არ მოვასვენებ საზიზღარ მტერს, ჩავაძაღლებ ფაშისტებს, ერთიანად ვაზღვევინებ ჩვენი წმინდათა-წმინდა სამშობლოს წაბილწვას, შეგინებას. კარგად იყავით, იმუშავეთ მთელი თქვენი ძალ-ღონით მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის, ჩვენი ოფლითა და სისხლით, გმირი საბჭოთა ხალხის შეერთებული ძალ-ღონით მუსრს გავავლებთ ჰიტლერელ ავაზაკებს".

თავისი სიტყვები ამხ. მ. გახოკიძემ საქმით დაამტკიცა. მისი თავგანწირული ბრძოლები ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ აღსავსეა გმირული ეპიზოდებით. ერთ-ერთ ეპიზოდს მოგვითხრობს საკავშირო რადიოკომიტეტის სპეციალური კორესპონდენტი. სევასტოპოლის დაცვის ერთ-ერთ უბანზე „ჩვენი მებრძოლები ოთხი დღის განმავლობაში იგერიებდნენ ფაშისტთა იერიშებს. წინადღით უთანასწორო ბრძოლაში გახოკიძის ქვეგანაყოფმა ოთხი გააფთრებული იერიში მოიგერია. მტერმა მაშინ მოკლულთა და დაჭრილთა სახით 800 კაცი დაჰკარგა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში ჩადგა ერთ-ერთი ჩვენი ოცეული. იგი გამოდევნილ იქნა სანგრებიდან და მის წინააღმდეგ გერმანელთა მთელი ბატალიონი მოდიოდა. გახოკიძემ ყურადღება არ მიაქცია მტრის რიცხვობრივ სიჭარბეს, და შეძახილით: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" —ეკვეთა ფაშისტებს. მასთან ერთად იყვნენ წითელარმიელები პეტროვი, ჯამბაევი, შომინი. პოლიტხელი შეიჭრა სანგრებში, ისროლა ორი ტანკსაწინააღმდეგო გრანატი, ხიშტით დახოცა სამი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, ხელთ იგდო მტრის ხელის ტყვიამფრქვევი, რომლითაც მიზრჯნით დაუწყო ხოცვა ფაშისტებს. გახოკიძემ და სამმა მებრძოლმა 70 ფაშისტი გაჟლიტეს. აქედან პოლიტხელმა 30 კაცი მოჰკლა".

1942 წლის 26 ივნისის „კომსომოლსკაია პრავდაში" მოთავსებულია ა. კულდაევის კორესპონდენცია „სევასტოპოლის მამაცი დამცველები". კულდაევი მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის გმირის უმცროს პოლიტხელ მ. გახოკიძის შემდგომი გმირული ბრძოლების ეპიზოდს.

„ერთ-ერთ უბანზე ფაშისტებმა თავისი ჯარისკაცების გვამები გადმოთელეს და წინა კიდის სანგრებში შემოიჭრნენ. გეგონებოდათ, რომ მტრის მხეცური კვეთება საბოლოოდ ჩაახშობდა იმ საბჭოთა მეომრების მცირე ჯგუფის წინააღმდეგობას, რომლებიც ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში იგერიებდნენ აქ მტრის გააფთრებულ იერიშებს.

— დაჰკა ფაშისტ ქვეწარმავლებს! — დაიძახა უმცროსმა პოლიტხელმა მიხეილ გახოკიძემ, შიგ გადაეშვა გერმანელ ჯარისკაცთა წყებებში და თან გაიყოლია დანარჩენი მებრძოლები.

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

გერმანელებს თოფის კონდახებით სპობდნენ, ხიშტებით გმირავდნენ. ამ ხანმოკლე, მაგრამ დაძაბულ ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენი მებრძოლების მცირე ჯგუფს არც ერთი ფაშისტი აღარ გაუშვია ცოცხალი.

მტრის ასზე მეტი გვამი დარჩა ბრძოლის ველზე. სანგრები გაწმენდილ იქნა გერმანელებისაგან.

—დაჭრილი მხეცი ერთისამად უფრო საშიშია,—უთხრა მებრძოლებს მიხეილ გახოკიძემ,—ის ახლავე კვლავ დაგვესხმის თავს.

გერმანელებმა იმ დღეს სამჯერ მოიტანეს იერიში და სამჯერვე უკუქცეულ იქნენ".

1942 წლის 28 ივნისის „იზვესტიაში" გამოქვეყნებულ „იზვესტიის" სპეც. კორესპონდენტის ს. გალიშევის წერილში „სევასტოპოლის გმირული დაცვა" მოთხრობილია სევასტოპოლის დასაცავად 27 ივნისს წარმოებული გმირული ბრძოლის ეპიზოდები. ერთი ეპიზოდი ამხ. მ. გახოკიძის გმირობაზე მოგვითხრობს.

„ერთ-ერთ უბანზე ფაშისტების დაახლოებით ერთმა ბატალიონმა იერიში მოიტანა იმ ქვეგანაყოფზე, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი პოლიტხელი მიხეილ გახოკიძე მეთაურობს. მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის ოთხი იერიში. მესამე იერიშის დროს ჩვენი ერთი ოცეული მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მის დასახმარებლად გაეშურა პოლიტხელი გახოკიძე ოთხი მებრძოლით. ვაჟკაცები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს ხუთმა ვაჟკაცმა 70 ფაშისტი მოსპო. მთელი დღის განმავლობაში ქვეგანაყოფი იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს და მოსპო რამდენიმე ასეული ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი".

ასეთია ეპიზოდები საბჭოთა კავშირის გმირის მიხეილ გახოკიძის, დიდი სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლის და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის გმირული ბრძოლისა სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ღირსებისათვის.

შ. ზვინჩიძე

დ. ლომთაძე

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომის ბიურომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ „ინდოეთში მოისპოს ინგლისის ბატონობა“. მაგრამ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „კონგრესი შეძლებისამებრ მოერიდება რაიმე ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება დააბრკოლოს გაერთიანებული ნაციების მიერ ომის წარმოება“.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ, თუ ინგლისის მთავრობა კონგრესის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, კონგრესი იძულებული იქნება მთელი თავისი ძალა მოიხმაროს, რათა განდის ხელმძღვანელობით ძალადობის გამოუყენებლად დაიცვას თავისი პოლიტიკური უფლებანი და ინდოეთის თავისუფლება.

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ინდოეთში ინგლისის ბატონობის ლიკვიდაციის შემდეგ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ჯგუფთა წარმომადგენლები უნდა შეიკრიბნენ ისეთი ორგანოს ასარჩევად, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ინდოეთის მთელი მოსახლეობისათვის მისაღები კონსტიტუცია. „თა...

... იმის წინააღმდეგი არ არის, რომ ინდოეთში იყოს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალები აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად“.

რეზოლუციას განიხილავს ინდოეთის კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის სხდომა განზრახულია 7 აგვისტოსათვის.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 ივლისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო კომენტარს უკეთებს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომის ბიუროს რეზოლუციას და აღნიშნავს: კონგრესი იმისაკენ მიისწრაფვის, რომ მონოპოლიურ ორგანიზაციად გადაიქცეს, იმის მიუხედავად, რომ ინდოეთში სხვა პარტიებიც არსებობს; ეს უკანასკნელნი მუსლიმთა მნიშვნელოვან რაოდენობას და სხვადასხვა წოდების 60 მილიონ კაცს წარმოადგენენ, რომელთაც დამოუკიდებელ ინდოეთის მთავრობაში წარმომადგენლობის უდავო უფლება აქვთ.

ინფორმაციის სამინისტრო ეხება კონგრესის მოთხოვნას ინდოეთში ინგლისის ბატონობის მოსპობის შესახებ და აღნიშნავს: ინგლისის სამხედრო კაბინეტი თავის წინადადებებში აცხადებდა, რომ, როგორც კი შეწყდება საომარი მოქმედება, მოწვეულ იქნება ინდოეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც ყველა ჯგუფის ინტერესებს წარმოადგენს, და ინგლისის მთავრობა ყოველგვარ ახალ კონსტიტუციას დაეთანხმება რომელსაც ეს კრება შეიმუშავებსო. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული მეფის ნაცვალთან არსებული აღმასრულებელი საბჭო ინდოელთა დანიშვნის გზით, რომელნიც ამჟამად უმრავლესობას წარმოადგენენ საბ...

... რიც არის რაჯაგოპალაჩარია.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო ცალკე აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ლერძის სახელმწიფოებმა კონგრესის რეზოლუცია მოიწონეს და ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ რეზოლუცია ლერძის სახელმწიფოების მიერ ახლანდელ ომში დასახულ მიზნებს შეესაბამება.

ᲠᲐᲯᲐᲒᲝᲞᲐᲚᲐᲩᲐᲠᲘᲐᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲜᲘ ᲛᲐᲓᲠᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, 7 კონგრესისტი (ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წევრი) მადრასის ყოფილ პრემიერ-მინისტრ რაჯაგოპალაჩარიას შემდეგ გავიდა მადრასის საკანონმდებლო კრებიდან. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ კონგრესმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა მუსლიმთა და ინდუსთა დაახლოების პოლიტიკისადმი, რასაც რაჯაგოპალაჩარია ეწევა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 18 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მექსიკაში შეიკრიბა ამერიკასშორისი კონფერენცია სოფლის მეურნეობის საკითხებზე. კონფერენციაზე მოწონებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებითაც დასახულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება და ამერიკის ქვეყნების მიერ მოკავშირეთა საომარი ღონისძიებებისათვის დახმარების აღმოჩენა. კერძოდ, გათვალისწინებულია გამოიკვლიონ, თუ რამდენად შესაძლებელია ზეთოვან, კაუჩუკოვან და სამედიცინო მცენარეთა გაშენება და ცელულოზის წარმოება ამერიკის ქვეყნებში.

კონფერენციამ მხარი დაუჭირა იმას, რომ დაიდოს შეთანხმება საქონლის გასაღების ბაზრების განაწილების შესახებ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲠᲝᲕᲐᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 18 ივლისი (საკდესი). 11 ივლისს საღამოს გეტებორგს ჩავიდა ნორვეგიის ორი გემი „კარნა“ და „ველა“. ორივე გემზე, ეკიპაჟს გარდა, იყვნენ მცველები — ოთხ-ოთხი გერმანელი ჯარისკაცი და თითო ოფიცერი. გერმანელები ძლიერ იყვნენ შეიარაღებულნი. თითოეულ გემზე ტყვიამფრქვევი ედგათ. რამდენადაც ნეიტრალური ქვეყნის ნავსადგურში შეიარაღებული გემების ყოფნა არსებულ წესებს ეწინააღმდეგება, შვეციის საბაჟოს მოხელეებმა მოხსნეს ორივე გემს ტყვიამფრქვევები, განაიარაღეს ... გამგზავრებულიყო, კონფლიქტი წამოიჭრა გერმანელ მცველებსა და ნორვეგიელებს შორის. ნორვეგიელებმა ღვედებით კარგად აუჭრელეს ზურგი თავიანთ განიარაღებულ დარაჯებს, იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელნი დახვრეტას ემუქრებოდნენ მათ. გერმანელების ყვირილი მთელ ნავსადგურში ისმოდა. 14 ივლისს შვეციის ხელისუფლებამ ნება დართო „კარნას“ განეგრძო გზა. გემის გამგზავრების წინ შვეციის პოლიციამ მოხსნა იქიდან 5 გერმანელი მცველი და მოახდინა ...

...რის საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, აგრეთვე საჰაერო მოტორიზებული ნაწილებისათვის.

• • •

ამერიკასშორის ვაჭრობისათვის ხელის შესაწყობად ამერიკის შეერთებული შტატები იძენენ 100 გემს, რომელთაგან თითოეულის წყალწყვა ათასამდე ტონა იქნება.

• • •

ბელგიაში აფეთქებამ გაანადგურა უდიდესი ფოლადსაგლინი ქარხანა „პროვიდანსი“.

... ბრძანებით ლატვიაში იძულებითი შრომაა შემოღებული სოფლის მეურნეობაში, სათამბობის მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

• • •

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ შეადგინა ნორვეგიელთა ქვეითი ბატალიონი, რომელშიც 500-მდე ჯარისკაცი ითვლება. ფიქრობენ, რომ მომავალში ასეთივე ნაწილები შეიქმნება სხვა ეროვნებათა მოქალაქეებისაგან. (საკდესი).

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲐ

„ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ“

ფრონტის ხაზი სულ ხუთ კილომეტრზე გადის. ზაფხულის ცხელი დღეა. შორიდან სროლის ხმა მოისმის. გზაში ორი ქალი მიდის. ერთ მათგანს ხელში ორი წლის ბავშვი უჭირავს. ტყისპირას, გამტვერიანებული ბუჩქების მახლობლად, მათ მწვანე საკინძეებიანი მებრძოლი აჩერებს.

— საით მიდიხართ?

— ცოტა პურს ვეძებთ, ძვირფასო. ვმათხოვრობთ. წყეულმა გერმანელმა ყველაფერი დაბომბა, დაგვღუპა იმ შეჩვენებულმა...

— თქვენი დოკუმენტები?

— დოკუმენტები არა გვაქვს.

— რისთვის მიდიხართ წინ? იქ ხომ სროლაა.

— ჩვენ არ გვეშინია. შეიძლება მებრძოლებისაგან ვიშოვოთ ცოტა პური...

ქალებს ძონძები აცვიათ. საცოდავი შესახედავი არიან. ლაპარაკობენ ისე, რომ კიდევ უფრო მეტად აღძრან თავისადმი სიბრალული. ერთმა განგებ ცრემლიც ჩამოაგდო. წითელარმიელი მურაჩოვი ყურადღებით ათვალიერებს ქალებს. არა, ამ ქალებს ნამდვილი მწუხარება არ ემჩნევათ.

— წამოდით ჩემთან.

... 4 თვის წინათ ფაშისტთა დაზვერვამ ...

სიარული აქვს, ქალის სიარულს სულაც არა ჰგავს, თავსაფარი მოუხერხებლად აქვს მოხვეული. ეს ყურადღებიდან არ გამოეპარა მესაზღვრე ფროლოვს.

— საით მიედივართ, მოქალაქევ? — ეკითხება იგი აუჩქარებლად. და ერთ წუთში ქალმა დაინახა მისკენ მიღერილი ხიშტი. როცა იგი მობრუნდა, რომ მესაზღვრის შეკითხვაზე ეპასუხნა, ფროლოვმა საბოლოოდ გამოიცნო, რომ მის წინ გადაცმული მამაკაცი იყო.

გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა მნიშვნელოვანი სამხედრო დოკუმენტები.

ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ-ᲡᲐᲨᲕᲔᲑ ᲞᲣᲜᲥᲢᲨᲘ

ასობით და ათასობით ადამიანი ტარდება ყოველდღე საკონტროლო-საშვებ პუნქტში. განსაკუთრებით ფხიზლად უნდა იყო, რომ აქ მტერი არ გატარდეს. მისი აღმოჩენა არც ისე ადვილია. მტრის აგენტებს მუდამ გამზადებული აქვთ ყალბი დოკუმენტები. და პირველი შეხედვით ეს დოკუმენტები სრულ წესრიგშია.

საკონტროლო-საშვები პუნქტის მახლობლად შუახნის მამაკაცი მიდიოდა. მას ეცვა გაცვეთილი, დასერილი პიჯაკი, ჭუჭყიანი შარვალი, დამტვერიანებული და ტალახშემომხმარი ჩექმები.



თბილისი. კიროვის რაიონის საყოველთაო სამხედრო ... ზე: საყოველთაო სამხედრო სწავლების 1-ლი ასეულის ... (წინა პლანზე, მარჯვნივ) ატარებს პოლიტინფორმაციას ... მეთაური ორდენოსანი ა. კ. ქერეჭაშვილი.

ფოტო ვლ. რუ...

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐᲨᲘ

„ᲖᲝᲘᲐ (ᲢᲐᲜᲘᲐ) ᲙᲝᲡᲛᲝᲓᲔᲛᲘᲐᲜᲡᲙᲐᲘᲐ“
სტალინური პრემიის ლაურეატის ირ. თოიძის ნახატი.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ და ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ

20 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე.

თემა: **„დიადი სამამულო ომის მიმდინარე მომენტის შესახებ“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

28 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტინსტიტუტის კლუბში (მარის ქ. № 15) ანატომია-ჰისტოლოგიის კათედრის საჯარო სხდომაზე ამხ. **მ ფარადაშვილი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ადამიანის ურახუსის ჰისტოლოგიისათვის“.**

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონი...

Დ. ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ა. წ. **21 ივლისს, საღამოს 8 საათზე,** უნივერსიტეტის № 93 აუდიტორიაში, დავით გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავის აღსანიშნავად შესდგება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის საჯარო სხდომა.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს აკად. კ. კეკელიძე; პროფ. ა. ბარამიძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე „დ. გურამიშვილის პატრიოტიკა“, დოც. ტ. რუხაძე — „დ. გურამიშვილის ლიტერატურული წყაროებისათვის“, დოც. მ. ჩიქოვანი — „დ. გურამიშვილი და ხალხური პოეზია“ დოც. გრ. კიკნაძე — „დ. გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა“.

დასწრება თავისუფალია.

ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲐᲚ. ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ
თბილისის კიროვის რაიონის სამხედრო კომისარი, მეორე რანგის ინტენდანტი.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

თავდაცვის სახალხო კომისარმა დიდმა სტალინმა თავის საპირველმაისო ბრძანებაში წითელ არმიას, მთელ საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა: მიაღწიონ იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურების წელი გახდეს. ამ დიადი ისტორიული ამოცანის შესასრულებლად საჭიროა გმირ წითელ არმიას განუწყვეტლად მივცეთ მაღალკვალიფიციური, ბრძოლისუნარიანი შევსება, რომელიც დაუფლებული იქნება ომის წარმოების ყველა თანამედროვე საშუალებებს, ...

... რებით ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლებისათვის გადაეცა სამამულო ომის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება. ამასწინათ საინტერესოდ ჩაატარა ტყვიამფრქვევზე მეცადინეობა სამამულო ომის მონაწილემ უმცროსმა სერჟანტმა ი. ნ. კოსოვმა. კარგად გვეხმარება აგრეთვე უმცროსი ლეიტენანტი ი. ა. ემანუილოვი.

საყოველთაო სამხედრო სწავლების ბატალიონის მეთაურმა გ. ოგანეზოვმა, კომისარმა ...

... ლებას ბატალიონში, ძირეული პრესის მუშაობის გაუმჯობესებას და ა. შ. ჩვენ აგრეთვე შეჯიბრებაში ჩაბმული ვართ ქალაქ ერევნის კიროვის რაიონთან, რომელმაც თავისი ინიციატივით გამოგვიწვია და ჩვენც აღფრთოვანებით მივიღეთ ეს გამოწვევა.

ჩვენი რაიონის საყოველთაო სამხედრო სწავლების ბატალიონის მთელი შემადგენლობა ბოლშევიკურად იბრძვის შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. მოწინავეა მეორე ასეული, რომლის მეთაურად არის ამხ. კვიცინაძე. ბატალიონში ბევრია მოწინავე მებრძოლი, რომელიც წარმატებით ეუფლება სამხედრო ხელოვნებას. ასეთებია, მაგალითად, ამხ. გ. ნ. მექუჩიშვილი, ხ. გ. არუთინოვი, მ. მ. გოკიელოვი, ნ. ზ. მებაგიშვილი, გ. მ. ურიცკი და სხვ. სამხედრო სწავლების ხარისხის ამაღლებას დიდად უწყობს ...